ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

N 11352/01
19/11/2019

11352-01-2-201911191222

შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმის“

დირექტორის მოადგილეს მშენებლობისა და

ტექნიკური უზრუნველყოფის საკითხებში

ბატონ ზაურ მალიკოვს

ბატონო ზაურ,

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2019 წლის 7 ნოემბრის N15998 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ქ. თერჯოლაში, სოფ. სიქთარვას ტერიტორიაზე ავტოგასამართი სადგურის ექსპლუატაციას.

გაცნობებთ, რომ თქვენ მიერ წარმოდგენილ სკრინინგის განცხადება მოიცავს რიგ უზუსტობებს, კერძოდ:

- სკრინინგის განცხადებაში აღნიშნულია, რომ პროექტი მიზნად ისახავს ავტოგასამართი სადგურის, კაფე-მარკეტისა და ავტოსამრეცხაოს მშენებლობას. ასევე აღნიშნულია, რომ ავტოგასამართი სადგურის მშენებლობისას მოხსნილი ნიადაგის ფენა კანონის სრული დაცვითი იქნება გამოყენებული, ხოლო წარმოქმნილი სამშენებლო ნარჩენების მართვა განხორციელდება შესაბამისი კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით, მაშინ როდესაც ამავე სკრინინგის განცხადებაში აღნიშნულია, რომ საპროექტო ტერიტორიაზე უკვე განთავსებულია ოფის-მარკეტის შენობა, მარიგებელი სვეტების ფარდული, თხევადი საწვავით ავტომანქანებისთვის გათვალისწინებული, ბეტონის სარკოფაგში მოთავსებული 6 ჰორიზონტალური, სტაციონალური რეზერვუარი. ასევე მოცემულია ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ჩატარებული მიწის სამუშაოების პროცესში არქეოლოგიური ან კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები არ დაფიქსირებულა, ხოლო ავტოგასამართი სადგურის მშენებლობისას რაიმე სახის ბუნებრივი რესურსების გამოყენებას ადგილი არ ჰქონია. შესაბამისად გაურკვეველია პროექტით გათვალისწინებული სამშენებლო სამუშაოები უკვე შესრულებულია, თუ იგეგმება აღნიშნული სამუშაოების განხორციელება;
- დასაზუსტებელია რეზერვუარების საპროექტო მოცულობა, კერძოდ სკრინინგის განცხადებაში აღნიშნულია, რომ რეზერვუარების საპროექტო მოცულობა შეადგენს

100მ^3-ს, თუმცა ბენზინისა და დიზელის საწვავის რეზერვუარების, თითოეულის ჯამური მოცულობა შეადგენს 60მ^3-ს;

- სკრინინგის განცხადებაში არ არის განხილული საწვავის შესაძლო ავარიული დაღვრის საკითხები (ნიადაგისა და გრუნტის წყლების დაბინძურების რისკები);
- არ არის მოცემული ინფორმაცია ავტოგასამართი სადგურის ექსპლუატაციის ეტაპზე სახიფათო ნარჩენების, კერძოდ ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული შლამისა და ქსოვილების წარმოქმნისა და მათი შემდგომი მართვის შესახებ;
- ასევე დაზუსტებას საჭიროებს, თუ როგორ მოხდება სკრინინგის განცხადებაში მითითებულ ბიოტალში ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული წყლის გაწმენდა.

ამასთან გაცნობებთ, რომ თუ აღნიშნული საქმიანობა ითვალისწინებს სამშენებლო სამუშაოების განხორციელებას, სკრინინგის განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს ავტოგასამართი სადგურის მოწყობა და ექსპლუატაციაზე, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად და სრულად უნდა მოიცავდეს ამავე მუხლით გათვალისწინებულ ინფორმაციას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტრო მოკლებულია შესაძლებლობას განიხილოს შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმის“ მიერ ქ. თერჯოლაში, სოფ. სიქთარვას ტერიტორიაზე ავტოგასამართი სადგურის ექსპლუატაციასთან დაკავშირებული სკრინინგის განცხადება. გაცნობებთ, რომ სამინისტრო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მას შემდეგ, რაც შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმი“ უზრუნველყოფს განახლებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენას ზემოაღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით.

გიორგი ხანიშვილი

მინისტრის მოადგილე - მ.შ.